ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6991963

ნომერი: AR11029397

თარიღი : 12.04.2024

გაცემის თარიღი : 19.04.2024

გაცნობის თარიღი : 19.04.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ალექსანდრე (საშა) იოსელიანის ქუჩა, N 63;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მალხაზ მაღრაძე პ/ნ 01010004394
- საქართველო, ქალაქი თბილისი, შალვა ნუცუბიძის ფერდობი, II მიკრო/რაიონი, კვარტალი I, კორპუსი 3, ბინა 1

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 12 აპრილის №6978334 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 12 აპრილს №AR11029397 განცხადებით მომართა მალხაზ მაღრაძემ და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 12 აპრილის

№6978334 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება მშენებლობის ეტაპების და ვადის მითითების ნაწილში.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 19 მარტის №6939912 ბრძანებით შეთანხმდა №01.14.05.008.398 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2024 წლის 12 აპრილის №6978334 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 14 აპრილიდან 2022 წლის 14 სექტემბრის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2024 წლის 12 აპრილის №6978334 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა მშენებლობის ეტაპების მითითების ნაწილში. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ 2024 წლის 21 მარტს №AR11024983 განცხადებაზე წარმოდგენილ იქნა მშენებლობის ორგანიზების პროექტი კალენდარულ გრაფიკთან ერთად, რომელშიც „შენობა-ნაგებობის სახურავისა და გადახურვის მოწყობა“ მითითებული იყო მე-6 ეტაპის განსახორციელებელ სამუშაოებში. თუმცა, სამსახურის 2024 წლის 12 აპრილის №6978334 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტში (ეტაპების ჩამონათვალში) „შენობა-ნაგებობის სახურავისა და გადახურვის მოწყობა“ ტექნიკური შეცდომის შედეგად მითითებულ იქნა მე-5 ეტაპის განსახორციელებელ სამუშაოებში.
სამსახურმა, ასევე, დაადგინა, რომ 2024 წლის 21 მარტის №AR11024983 განცხადებაზე წარმოდგენილი მშენებლობის განხორციელების კალენდარული გრაფიკის მიხედვით მშენებლობის ვადა განსაზღვრული იყო 17 თვით. შესაბამისად, სამსახურის 2024 წლის 12 აპრილის №6978334 ბრძანებით მშენებლობის ვადა უნდა განსაზღვრულიყო 2024 წლის 12 აპრილიდან 2025 წლის 12 სექტემბრის ჩათვლით. თუმცა, ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის შედეგად მშენებლობის ვადა არასწორად დაფიქსირდა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2024 წლის 12 აპრილის №6978334 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:
1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 12 აპრილის №6978334 ბრძანებაში და:
1.1.ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „2. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2024 წლის 12 აპრილიდან 2025 წლის 12 სექტემბრის ჩათვლით“.
1.2. ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შედეგი რედაქციით:
„3. მშენებლობის ეტაპები განისაზღვროს შემდეგნაირად:
5) ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა შენობა-ნაგებობის ნულოვანი ნიშნულიდან:
0.00-დან - 5.85მ - მდე
5.85-დან - 11.95მ - მდე
11.95-დან - 17.72მ - მდე
არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა;
6) შენობა-ნაგებობების სახურავისა და გადახურვის მოწყობა;
შენობა-ნაგებობების ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტექნიკური ქსელების მოწყობა;
ტექნოლოგიური მოწყობილობების მონტაჟი;
შენობა-ნაგებობების გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები;
მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები.“.
2.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 12 აპრილის №6978334 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3.წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 12 აპრილის №6978334 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.